სეზონის საუკეთესო მატჩი

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 9 სექტემბერი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი (მელაშვილი), გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, მესხი.

“სპარტაკი”: ფროლოვი, ლოგოფეტი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, დიკარიოვი, ნეტო, ილინი, ფალინი, სევიდოვი (აპრესიანი), პეტროვი, ჰუსაინოვი.

მსაჯი ე. ოდინცოვი (ლენინგრადი).

მოსკოვის “სპარტაკის” და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა იმ კატეგორიის მატჩებს ეკუთვნის, რომელსაც მოუთმენლად მოელიან გულშემატკივრები, თვით ფეხბურთელები და სპეციალისტები. 1936 წლიდან მოყოლებული, ეს გუნდები ერთმანეთის მუდმივი სპორტული მეტოქეები არიან და ერთად სწევენ იმ “საპატიო ტვირთს”, რომელსაც სამამულო ფეხბურთის პრესტიჟი ჰქვია.

ამიტომ ადვილი გასაგებია ის ინტერესი და აჟიოტაჟი, რაც ძველი მეტოქეების მატჩმა გამოიწვია. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნები მიმდინარე სეზონში პირველად გაივსო (მატჩს ესწრებოდა მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა _ 95 ათასი კაცი) და უნდა ითქვას, რომ ფეხბურთის მოყვარულთა მოლოდინი სავსებით გამართლდა. მათ ნახეს ლამაზი, ტექნიკური თამაში, აღსავსე გონებამახვილური კომბინაციებითა და მომენტებით. და ის, რომ თბილისის “დინამომ” მოიგო შეხვედრა, მაყურებლებმა მიიღეს როგორც კანონზომიერი ამბავი, ბრძოლის ლოგიკური შედეგი. ოვაციები, რომლითაც გააცილეს ჩვენი გუნდი მოედნიდან, სწორედ ამ ფაქტის გულწრფელი გამოხატვა იყო.

თამაშის დაწყებამდე კი... მოწინააღმდეგეთა შანსები თანაბრად ფასდებოდა. “სპარტაკმა” უკანასკნელი მატჩები დიდი აღმავლობით ჩაატარა. საიმედო დაცვის, მოქნილი ნახევარდაცვისა და ტექნიკური დავდასხმის წყალობით გუნდი დამაჯერებლად მიიწევდა წინ _ სატურნირო ცხრილის უმაღლესი საფეხურისაკენ. “დინამოს” თამაში მოსკოველთათვის “საიდუმლოებით” იყო მოცული. აქ იცოდნენ მხოლოდ ერთი, რომ გუნდი გადაეჩვია წაგებას, რომ მას ჰყავს ძალზე ძლიერი დაცვა და რომ იგი ამჯერადაც წარმატებაზე ფიქრობს. ეს კი უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავდა.

როგორც მატჩის დამთავრების შემდეგ გახდა ცნობილი, გუნდებს სხვადასხვაგვარი გეგმები ჰქონდათ დასახული. “სპარტაკს” დასაწყისშივე უნდა მიეღწია უპირატესობისათვის და მატჩის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაეწყვიტა. “დინამოს” პირიქით, ჯერ უნდა ეზრუნა დაცვის გასაძლიერებლად და შემდეგ უკვე შედეგზე. როგორც მატჩის მსვლელობამ ცხადყო, თბილისელთა გეგმა უფრო რეალური გამოდგა.

შეხვედრის სადებიუტო ნაწილი ყოველგვარი სიმწვავის გარეშე დამთავრდა. გუნდებმა მოსინჯეს ერთმანეთის ძალები და შესაძლებლობანი. “სპარტაკის” თავდამსხმელებმა ერთი უსიამოვნო აღმოჩენა გააკეთეს, რაც მათ გეგმებს საფუძვლიანად შლიდა. “დინამოს” დაცვა გაუვალი გამოდგა როგორც ფლანგებიდან, ისე ცენტრიდან. ტანმოსულმა და ფიზიკურად ძლიერმა სევიდოვმა დატოვა ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი (ხურცილავას წყალობით) და მარცხნივ გადაინაცვლა, სადაც უნაყოფოდ ფუსფუსებდა ჰუსაინოვი. ბ. სიჭინავამ მიიღო ეს გამოწვევა და სევიდოვი იძულებული გახდა თავის ძველ ადგილს დაბრუნებოდა. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ სევიდოვმა ვერც შემდგომში ნახა თავისი ადგილი და მწვრთნელმა იგი სამართლიანად შეცვალა.

უკეთეს მდგომარეობაში არ იყვნენ “სპარტაკის” არც სხვა თავდამსხმელები. “დინამოს” დაცვა, რომლის ნახვასაც ასე ინტერესით მოელოდნენ მოსკოველები, კედელივით იყო აღმართული საჯარიმო მოედნის მისადგომებში. აქ იმსხვრეოდა “სპარტაკის” ყველა შეტევა.

თამაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, დინამოელთა გეგმით მიდიოდა. თბილისელებმა უზრუნველყვეს რა საიმედო დაცვა, წამოიწყეს მწვავე შეტევები. აქ მოწინააღმდეგე კიდევ ერთ სიურპრიზს წააწყდა. ეს იყო გ. სიჭინავა, რომელმაც რამდენიმე სახიფათო გარღვევით არევდარევა

შეიტანა “სპარტაკის” დაცვაში. მესხს, როგორც წესი, ორი მცველი ჰყავდა ადევნებული ლანდივით, ხოლო იამანიძის რეიდების მოსაგერიებლად ღრმად იხევდა ზურგში ფალინი.

“სპარტაკმა” ვერ განახორციელა თავისი “ელვისებური დარტყმა”, უკან დასწია მეორე შუამარბი პეტროვიც და მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანა. მხოლოდ ხანდისხან თუ ჩაერთვებოდა შეტევაში ნეტო (მას ერთი წამითაც არ მოუცილებია თვალი ბარქაიასათვის), მაგრამ ისიც წარუმატებლად.

მართალია, მატჩის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მან გარკვეული მორალური უპირატესობა მოუტანა “დინამოს”. სპარტაკელებმა რწმენა დაკარგეს თავიანთ ძალებში, ხოლო “დინამოს” თავდასხმა ფაქტიურად ახლა იწყებდა ბრძოლას.

მეორე ნახევარი დაიწყო მოსკოველთა მძლავრი იერიშებით. ჩანდა, რომ გუნდი უკანასკნელ ძალებს იკრებდა წარმატების მისაღწევად. მაგრამ აქაც განმეორდა პირველი ტაიმის ამბავი. სპარტაკელებმა ვერ გასტეხეს ჩვენი დაცვის საბრძოლო სული. იყო მომენტი, როდესაც სევიდოვმა მხრებიც კი აიჩეჩა და ჩაიქნია ხელი _ ასეთ დაცვაში გასვლა შეუძლებელიაო.

ახლა უკვე სიტყვა თბილისელთა თავდამსხმელებს ეძლეოდა და აი, მათაც ჩართეს ტემპი. მესხი სწრაფად გადის მარცხნიდან და აწოდებს ბურთს ცენტრში. აქ ბარქაიას ფეხებში უვარდება ნეტო და ბურთი პირით ხაზს იქით გადადის. ერთი წუთი და იამანიძე იწყებს ღრმა რეიდს მოედნის შუაგულიდან, ატყუებს რამდენსამე მცველს, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მეკარე ფროლოვი იგერიებს ბურთს.

თბილისელთა შეტევები სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. სტადიონი გრძნობს, რომ სულ მალე გაიხსნება კვანძი. 22-ე წუთზე დათუნაშვილი ძლიერად ურტყამს კარში. ორი წუთის შემდეგ კი ფროლოვი გ. სიჭინავს უძლიერეს დარტყმას (დაახლოებით 30 მეტრიდან) იგერიებს. იერიშებში მორიგეობით ერთვებიან სიჭინავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი. “დინამოს” მანქანა მთელი თავისი ძალით ამოქმედდა.

ეს მოხდა 27-ე წუთზე. ზეინკლიშვილმა ზუსტად გაიყვანა გარღვევაზე მესხი, რომელსაც უმალ სამი მცველი აედევნა. თბილისელთა მარცხენა გარემარბი უდიდესი სისწრაფით გავიდა მარცსენა ფლანგზე, და ჩააწოდა ბურთი ცენტრში. აქ, როგორც ყოველთვის, ბურთს ხელსაყრელ პოზიციაში დახვდა კალოევი, რომელმაც იდეალური სიზუსტით გაგზავნა ბურთი კარში _ 1:0. ბევრს ეგონა, რომ “დინამო” დასჯერდებოდა გატანილ გოლს და მოადუნებდა თამაშს, მაგრამ მოხდა პირიქით. იერიშების ახალმა ტალღამ “სპარტაკი” მთლიანად დაცვაზე გადაიყვანა. თბილისელთა ნახევარზე მხოლოდ აპრესიანი (მან სევიდოვი შეცვალა) - ხურცილავას წყვილი იდგა.

37-ე წუთზე მესხი კვლავ გაუსხლტა მცველებს და ბურთი მარჯვენა ფლანგზე გადაიტანა. აქ გადაცემა მიიღო ბარქაიამ, მაგრამ მან ბურთი ერთხანს გააჩერა, მანამდის, სანამ კალოევი დაიჭერდა ხელსაყრელ პოზიციას. თბილისელთა ცენტრი უეცრად მოსწყდა თავის დარაჯს და ბარქაიამაც “დაჰკიდა” ბურთი. დანარჩენი კალოევმა “გროსმაისტერულად” შეასრულა. მან მაღალ ნახტომში მოათვალიერა კარი, მეკარის პოზიცია და ძლიერი თავური დარტყმით ხელებს შუა გაუძვრინა ბურთი ფროლოვს _ 2:0.

დარჩენილ დროში კიდევ ორი სახიფათო მომენტი შეიქნა. თავდაპირველად მელაშვილის უძლიერესი დარტყმა დიდის გაჭირვებით მოიგერია სპარტაკელთა მეკარემ, შემდეგ კი კოტრიკაძემ იხსნა კარი აშკარა გოლისაგან.

შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით _ 2:0. თბილისის “დინამომ” თავის “ოქროს ფონდს” კიდევ ორი საჭირო და საპატიო ქულა მოუმატა.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობის შეხვედრის ანგარიშია 1:0 “სპარტაკის” სასარგებლოდ.

ნ. გუგუშვილი, ჩვენი სპეც. კორ.
“ლელო”, 11 სექტემბერი, 1962 წ.